პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის მდგრადი სისტემის შექმნა შეფასების კონკრეტული ჩარჩოების შემუშავებისა და ფართომასშტაბიანი მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების გზით

განხორციელების ვადა: 07.10.2019 - 07.08.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 500 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ები):
Innovations and Reforms Center

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/IRC111/

პროექტის ვებსაიტები: www.irc.ge

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს მიერ განხორციელებულ ამბიციურ საჯარო მმართველობის რეფორმას. პროექტი მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის მდგრადი სისტემის შემუშავებას, ხოლო აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული საჯარო მმართველობის რეფორმის გარე შეფასების ჩარჩოების შემუშავებას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერას შემუშავებული ჩარჩოების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით და საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის პლატფორმის ამოქმედებას.
პროექტის ფარგლებში მოხდება:
- საჯარო მმართველობის მონიტორინგთან დაკავშირებით არსებული საუკეთესო პრაქტიკის მოძიება და ანალიზი
- საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის ჩარჩოების შემუშავება და რეფორმის მონიტორინგში ჩართვა
- საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგისა და შეფასების პლატფორმის კონცეფციის შემუშავება, დაინტერესებულ მხარეებთან გატესტვა და შემდგომში პლატფორმის ამოქმედება
- საჯარო მმართველობის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დატრენინგება
- საჯარო მმართველობის რეფორმის ზედამხედველობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სხვა აქტორების ჩართვა
- საჯარო მმართველობის რეფორმის კამპანიის შემუშავება და განხორციელება სოციალური და ტრადიციული მედია

მოსალოდნელი შედეგები:

- შეფასების ჩარჩოები (პოლიტიკის დაგეგმვა, საჯარო სერვისის მიწოდება, საჯარო ფინანსების მართვა)
- ახლადშემუშავებული შეფასების ჩარჩოების დანერგვა და მათი პრაქტიკაში გამოყენება
- საჯარო მმართველობის რეფორმის აქტუალიზაცია საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის შედეგების რეგულარული ანგარიშგებისა და შესაბამისი კამპანიის წარმოების გზით
- საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგისა და შეფასების პლატფორმის შემუშავება (PARMEP)